საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1363

თბილისი „23" 12 2019 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 9 დეკემბრის №1622 ბრძანებით დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" პროგრამის „2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში სტუდენტების 2019-2020 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტით/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89^{14} მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 19 დეკემბრის №1734885 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 9 დეკემბრის №1622 ბრძანებით დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" პროგრამის „2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი: 32 02 04 09) ფარგლებში, 2019-2020 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტით/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდნენ ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული სტუდენტები.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ჩხენკელი